ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2493124

ნომერი: AR1382490

თარიღი : 29.02.2016

გაცემის თარიღი : 31.03.2016

გაცნობის თარიღი : 31.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , N 10 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , N 8 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარათაშვილი , მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული ქალაქის ბურჯის პერიმეტრის გასწვრივ ტერიტორია და შიდა ნაწილი , (ნაკვეთი 017/014) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , (ნაკვეთი 17/026) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა

დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, ნაკაშიძის ქ. N10, ნაკაშიძის ქ. N8, ბარათაშვილის ქ. მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული ქალაქის ბურჯის პერიმეტრის გასწვრივ ტერიტორია და შიდა ნაწილი (ნაკვ. 017/014), ნაკაშიძის ქ. (ნაკვეთი 17/026)–ში რეკონსტრუქციის კორექტირებული ესკიზის წინასწარ შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N11, 17.03.2016 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი: ,,უარი ეთქვას ქ. თბილისში, ნაკაშიძის ქ. N10, ნაკაშიძის ქ. N8, ბარათაშვილის ქ. მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული ქალაქის ბურჯის პერიმეტრის გასწვრივ ტერიტორია და შიდა ნაწილი (ნაკვ. 017/014), ნაკაშიძის ქ. (ნაკვეთი 17/026)–ში რეკონსტრუქციის კორექტირებული ესკიზის წინასწარ შეთანხმებას. რეკომენდაცია: სასურველია მანსარდული ორი დონე შემცირდეს, ქვედა ერთი დონის სართულად გადაქცევით. ხის აივნის დეტალები გასადავდეს.". სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. თამაზ მურვანიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ნაკაშიძის ქ. N10, ნაკაშიძის ქ. N8, ბარათაშვილის ქ. მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული ქალაქის ბურჯის პერიმეტრის გასწვრივ ტერიტორია და შიდა ნაწილი (ნაკვ. 017/014), ნაკაშიძის ქ. (ნაკვეთი 17/026)–ში რეკონსტრუქციის კორექტირებული ესკიზის წინასწარ შეთანხმებას. რეკომენდაცია: სასურველია მანსარდული ორი დონე შემცირდეს, ქვედა ერთი დონის სართულად გადაქცევით. ხის აივნის დეტალები გასადავდეს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.